BGA ROAR

NEWSLETTER BY British-Georgian Academy

დირექტორის წერილი

ძვირფასო სასკოლო საზოგადოების წევრებო,

სემესტრის დაწყებიდან ჩვენი ფოკუსი მიმართული იყო ჩვენი მოსწავლეების შეფასებების დასრულებასა და საგნობრივი რეპორტების შემუშავებაზე. ჩვენი მასწავლებლები და დეპარტამენტების ხელმძღვანელები მმართველი გუნდის წევრებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები ზემოაღნიშნული პროცესის სიზუსტის უზრუნველყოფაში. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ საგნის რეპორტებს თქვენს შვილებთან ერთად, რათა მათაც ზუსტად იცოდნენ, რა ნაწილში შეუძლიათ საკუთარი შედეგების გაუმჯობესება. გულწრფელად ვიმედოვნებთ, რომ ეს ინფორმაცია და უკუკავშირი თქვენთვის ღირებული იქნება. ჩვენ, ცხადია, ვეცდებით, რომ მომავალში საგნობრივ რეპორტებს კიდევ უფრო დიდი გავლენა ჰქონდეს ჩვენი მოსწავლეების პროგრესზე.

შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ დაწყებითი და საშუალო საფეხურების დეპარტამენტის ხელმძღვანელები, ასევე სკოლის მმართველი გუნდი გულისყურით აანალიზებს მოსწავლეთა შეფასებების მონაცემებს და მუშაობს კონკრეტული საგნების მიმართულებით გასაუმჯობესებელ მხარეებზე . სწავლა-სწავლების პროცესი სწორედ ამ ინფორმაციას დაეყრდნობა.

ამ სემესტრში დიდ ყურადღებას დავუთმობთ მოახლოებული გამოცდებისათვის მე-10 და მე-12 კლასის მოსწავლეების მომზადებას. ჩვენ ყველამ, მასწავლებლებმა და მშობლებმა ამ დატვირთულ, თუმცა საინტერესო პერიოდში მხარდაჭერა უნდა აღმოვუჩინოთ ჩვენს მოსწავლეებს და სათანადო პირობები შევუქმნათ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსავლენად. გამოცდებისთვის მომზადების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი გაკვეთილებზე დასწრებაა. გთხოვთ, ხელი შეუწყვეთ მოსწავლეებს, რომ სკოლა არ გააცდინონ და სასწავლო პერიოდის თითოეული წუთი ნაყოფიერად გამოიყენონ. თუ მათ რაიმე საკითხი აწუხებთ ან მასწავლებლებისაგან გამხნევება სჭირდებათ, ცხადია, ნებისმიერ დროს შეუძლიათ, რომ მოგვმართონ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოსწავლეები გამოცდებში არაჩვეულებრივ შედეგებს გვაჩვენებენ.

არასასწავლო დღეები

- **28 თებერვალი**- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დღე.
- **3 მარტი** - დედის დღე - დასვენების დღე

აღნიშნულ დღეებში სასწავლო პროცესი არ გაიმართება. **მოსწავლეებს აკადემიაში ველით სამშაბათს, 4 მარტს**.

TEDX LISI LAKE YOUTH

ბრიტანულ-ქართული აკადემიისა და თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის ორგანიზებით წელს პირველად გაიმართა TEDx Lisi Lake Youth ღონისძიება, თემით - “Future Forward”. ღონისძიების მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გლობალურ პლატფორმის მეშვეობით გაეზიარებინათ საკუთარი ინოვაციური იდეები, ესაუბრათ იმ საკითხებსა და გამოწვევებზე, რაც მათთვის აქტუალურია. თემატიკა მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა გეოპოლიტიკას, მენტალურ ჯანმრთელობას, უმცირესობების უფლებებს, განათლებას, ტექნოლოგიებს და ა.შ.

სასიხარულოა, რომ ღონისძიებაში ბრიტანულ-ქართული აკადემიის სამი მოსწავლეც იღებდა მონაწილეობას, რომლებიც საერთაშორისო კომისიამ უამრავი განაცხადიდან ორეტაპიანი შესარჩევი კონკურსის შედეგად შეარჩია. მე-10 კლასის მოსწავლეებმა, სანდრომ, სესილიმ და ანასტასიამ არაჩვეულებრივი მომზადებითა და პრეზენტაციებით ჩვენი აღფრთოვანება დაიმსახურეს. ვულოცავთ მათ და ვამაყობთ მათი წარმატებით!

სპორტული სიახლეები

იანვრის თვე საკმაოდ დატვირთული იყო სპორტული კუთხით. 22 იანვარს BGA-ს 18 წლამდე ფეხბურთელთა გუნდმა New School-ს უმასპინძლა და 5-0 დაამარცხა. 23 იანვარს LIONS (BIST-BGA)-ის 13 წლამდე ვაჟთა გუნდი ფრანგულ სკოლას შეხვდა. დაძაბული მატჩი მეტოქის გამარჯვებით, 6-3 დასრულდა.

24 იანვარს 18-წლამდე კალათბურთის გუნდი ქართულ-ამერიკულ სკოლას დაუპირისპირდა და დაძაბულ შეხვედრაში 52-47 დამარცხდა, ხოლო 30 იანვარს LIONS-ის 18 წლამდე გოგონათა გუნდმა დამაჯერებლად, 26-14 მოუგო QSI-ს.

LIONS BASKETBALL TOURNAMENT

1-2 თებერვალს Lions Basketball Tournament გაიმართა, რომელშიც ექვსი სკოლა მონაწილეობდა: New School Georgia (Falcons), გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია (GZAAT), Oakleaf School (Oakleaf), ქართულ-ამერიკული სკოლა (GAS), Ib მთიები (Mtiebi) და ბრიტანულ-ქართული აკადემიისა & თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის საერთო გუნდი Lions. ორი დღის განმავლობაში დაუვიწყარი თამაშები ვიხილეთ.

შაბათს გაიმართა ჯგუფის შეხვედრები, სადაც გაირკვა ნახევარფინალური წყვილები: New School - IB Mthiebi და LIONS - GZAAT. LIONS-მა მოწინააღმდეგე დაამარცხა და ფინალში New School-ს შეხვდა, რომელმაც თავის მხრივ IB Mthiebi-ს მოუგო. სამწუხაროდ, საფინალო დაძაბულ ბრძოლაში LIONS 70-78 დამარცხდა New School-თან, თუმცა მაყურებელმა ნამდვილად საინტერესო დაპირისპირება იხილა.

ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია:
I ადგილი - New School
II ადგილი - LIONS
III ადგილი - IB Mthiebi.

შეფასების პირველი ციკლის შესახებ

გვინდა შეგატყობინოთ, რომ 30-31 იანვარს გამოქვეყნდა შეფასების პირველი ციკლის ანგარიში. მასში მოცემულია ყველა იმ საგნის შედეგები, რომელსაც თქვენი შვილი ესწრებოდა, ასევე — მოსწავლის აკადემიური პროგრესის დეტალური ანალიზი. ანგარიშში იხილავთ: საერთო დაჯამებულ ნიშნებს, გამოცდების შედეგებსა და ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი ასპექტების შესახებ მთავარ მიგნებებს.

იმისთვის, რომ უკუკავშირი მაქსიმალურად გასაგები გაგვეხადა, მშობლებს გადმოგეგზავნათ დეტალური ინსტრუქცია. მოგიწოდებთ, ყურადღებით გაეცნოთ ანგარიშებს, რადგან მათში მოცემულია ღირებული ინფორმაცია თქვენი შვილის აკადემიური წარმატების მხარდასაჭერად.
მადლობას მოგახსენებთ შვილის განათლებაში აქტიური ჩართულობისა და მუდმივი კომუნიკაციისათვის.

თვის რჩეულები

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში სემესტრული გამოცდები დასრულდა. ამ ძალიან საინტერესო პერიოდში მოსწავლეებს საკუთარი ცოდნისა და უნარების შეფასების შესაძლებლობა მიეცათ. უნდა აღინიშნოს, რომ სადიპლომო პროგრამის სტუდენტებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ მნიშვნელოვან გამოწვევას. გვინდა, გაგაცნოთ ორი მოსწავლე, რომელთა პირველი სემესტრის აკადემიური მაჩვენებლები ძალიან მაღალია.

ანა ტაბაღუა

ბრიტანულ-ქართული აკადემიის სადიპლომო პროგრამის XI კლასის მოსწავლეა. ანა გასაოცარი მონდომებითა და ორგანიზებულობით გამოირჩევა. მისი დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ განსაზღვრავს მის წარმატებას. ანა აქტიურადაა ჩართული აკადემიის ცხოვრებაში, ყოველთვის მეგობრების გვერდით დგას, როცა მათ მისი დახმარება სჭირდებათ. ანა ობიექტურად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, აკადემიურ შედეგებს და შესაბამისად გეგმავს სამომავლო ნაბიჯებს.

გიორგი ბრეგვაძე

ბრიტანულ-ქართული აკადემიის სადიპლომო პროგრამის დამამთავრებელი კურსის მოსწავლეა. წლევანდელი წელი მისთვის განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა, რაც, პირველ რიგში, მისი მონდომებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად სწორად გამოყენების დამსახურებაა. გიორგი მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების შემოთავაზებებს ელის, რათა გადაწყვიტოს, სად და რომელ უნივერსიტეტში გააგრძელებს სწავლას. ბრიტანულ-ქართული აკადემიაში მიღებული ცოდნა და შეძენილი გამოცდილება მას დაეხმარება, უმაღლეს სასწავლებელშიც გამორჩეული შედეგები აჩვენოს.

IB DP შუალედური იმიტირებული გამოცდები

2025 წლის 10-21 მარტს, IB სადიპლომო პროგრამის მოსწავლეები გაივლიან შუალედურ, იმიტირებულ გამოცდებს, რაც მოსწავლეებს დაეხმარება სრულად გაიაზრონ საგამოცდო კონტექსტი, მოემზადონ რეალური გამოცდისთვის და წინასწარ განსაზღვრონ მოსალოდნელი ქულა.

გთხოვთ, გაითვალისწინეთ - მოსწავლეთა დასწრების მაღალი მაჩვენებელი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მოსწავლეები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საგამოცდო მზადების პროცესში, რათა მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ერთად დავსახოთ სამომავლო ნაბიჯები.

ეს გამოცდები დამატებითი შესაძლებლობაა, რომ მოსწავლეებმა სწორად და დროულად შეძლონ გასაუმჯობესებელი მხარეები იდენტიფიცირება საბოლოო, IB გამოცდებისთვის, რომლებიც 28 აპრილიდან დაიწყება.

საქველმოქმედო ვიზიტი ძეგვის ბავშვთა სახლში

წლის მიწურულს ბრიტანულ-ქართული აკადემიის DP 1-ის მოსწავლეები ძეგვის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლს ესტუმრნენ. ამ დღისთვის მზადება ჩვენმა მოსწავლეებმა რამდენიმე თვით ადრე დაიწყეს — ნოემბერში მათ მთელ სასკოლო საზოგადოებაში გაავრცელეს ფლაერებით ინფორმაცია და ყველას მოუწოდეს, საქველმოქმედო აქტივობაში ჩართულიყვნენ. შედეგად, მოსწავლეებმა საჩუქრების დიდ ყუთში თავი მოუყარეს თბილ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, ზამთრის აქსესუარებსა და სათამაშოებს. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ DP 1-ის მოსწავლეები: ნინო მახათაძე, გიორგი ხეცურიანი და ელიზაბეტ ჩაფიძე. ისინი აკადემიის ადმინისტრაციასთან ერთად ესტუმრენ ძეგვის ბავშვთა სახლს, ბავშვებს თბილ ტანისამოსთან ერთად "ტკბილი ნობათიც" მიუტანეს და აკადემიისა და თავშესაფრის სამომავლო ურთიერთობასაც ჩაუყარეს საფუძველი.

მე-10 კლასელთა მოდერნისტული გამოფენა

მე-10 კლასის მოსწავლეებმა სასკოლო საზოგადოებას არაჩვეულებრივი გამოფენა შესთავაზეს. მას შემდეგ, რაც მათ ქანდაკების დარგში მოდერნიზმის მიმართულება შეისწავლეს, ამ სტილით შთაგონებულებმა თავადაც შექმნეს თიხის ქანდაკებები. თითოეული ქანდაკება უნიკალურ ისტორიას მოგვითხრობს, გამოფენაზე წარმოდგენილია ასევე ფოტოკოლაჟით შექმნილი ილუსტრაციები.

ჩვენმა მოსწავლეებმა თვითგამოხატვის სამი სახვითი ფორმა გამოიყენეს და საკუთარი შეგრძნებები და ნააზრევი რამდენიმე კუთხით წარმოაჩინეს. გამოფენას თან ახლავს სტენდი, სადაც მნახველები შთაბეჭილებებს წერილობითი ფორმით გვიზიარებენ.

HOUSE POINTS

TAMAR MEPE	ILIA	RUSTAVELI	PIROSMANI
691	585	552	536

საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე

5 თებერვალს ბრიტანულ-ქართული აკადემიის დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღის აღნიშვნაში მშობლები და აკადემიის თანამშრომლები ჩაერთნენ. სტუმრებმა წინასწარ შერჩეული ლიტერატურიდან საინტერესო მონაკვეთები წაუკითხეს დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის მოსწავლეებს. აღსანიშნავია, რომ მშობლები ამ დღისთვის საგულდაგულოდ მოემზადნენ — პერსონაჟების ტანისამოსები მოირგეს და სახასიათო ატრიბუტიკით გაამდიდრეს კითხვის პროცესი. მოსწავლეებისთვის საოცრად საინტერესო და სახალისო აღმოჩნდა მშობლებისა და სკოლის პერსონალის განსხვავებულ როლში ხილვა. დაწყებითი საფეხური დიდი მადლობას უხდის მშობლებს გამოჩენილი ინიციატივისთვის!

მაკა ბარამიძე
აკადემიური დირექტორი

მარტინ კეონი
IB საგიპლომო პროგრამის ხელმძღვანელი

ჯოშუა გარნერი
აკადემიური დირექტორის მოადგილე პერსონალური განვითარების მიმართულებით

თემო ვაშაკიძე
აკადემიური დირექტორის მოადგილე

სოფიო ჟღენტი
აკადემიური დირექტორის მოადგილე კურიკულუმისა და შეფასების მიმართულებით

ლალი გელაშვილი
ქართული მიმართულების ხელმძღვანელი

მარინა ქელიძე
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

დადუნა დოლიძე
მშობლებთან ურთიერთობის ცენტრის ხელმძღვანელი

თებერვალი, 2025

British-Georgian Academy